

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების ცენტრის**

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – „უნივერსიტეტი“) საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების ცენტრი (შემდგომში – „ცენტრი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
2. ცენტრი ფუნქციონირებს უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კავშირში და თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონებით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის წესდებით და წინამდებარე დებულებით.
3. ცენტრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე, ასრულებს კანონით გათვალისწინებულ, რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს

მუხლი 2. ცენტრის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები.

1. ცენტრის ძირითადი საქმიანობის სფეროა საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე უნივერსიტეტის სტუდენტებს, ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს შეუქმნას სწავლის, შრომისა და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის შესაბამისი პირობები; უნივერსიტეტის ერთიანი საინფორმაციო სივრცის ჩამოყალიბება და მისი დაკავშირება მსოფლიო (გლობალურ) საინფორმაციო სივრცესთან თანამედროვე,

მოწინავე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვით, ინფორმაციის მოპოვება უნივერსიტეტის მოღვაწეობის ყველა სფეროში, მისი მუდმივი, სწრაფი განახლება, ინფორმაციის დამუშავება და შედეგების წარმოდგენა ისეთი მოხერხებული და თვალსაჩინო ფორმით, რომ სრულად და ადექვატურად ასახავდეს არსებულ რეალობას.

2. ცენტრის ძირითადი ამოცანებია:

- ა) უნივერსიტეტის კომპიუტერული ქსელის დაგეგმარება, გამართვა და ოპტიმალური ფუნქციონირება.
- ბ) საინფორმაციო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის შექმნა–განვითარება.
- გ) კომპიუტერული რესურს ცენტრების მოწყობა და ფუნქციონირება.
- დ) დისტანციური სწავლების ინფრასტრუქტურისა და ორგანიზების ჩამოყალიბება და წარმართვა.

3. ცენტრის ძირითადი ფუნქციებია:

- ა) უნივერსიტეტის საერთო კომპიუტერული ქსელის შექმნა, მისი მართვა და სისტემატიური განახლება-გაფართოება, მისი უსაფრთხოობის უზრუნველყოფა, ახალი მომხმარებლების ჩართვისათვის საჭირო სამონტაჟო და პროგრამული სამუშაოების ჩატარება;
- ბ) უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის სერვერის გამართული მუშაობა და მასში ახალი მომხმარებლების რეგისტრაცია, საფოსტო ყუთების დაცვა და დარეზერვება. შესაბამისი ვებ ინტერფეისის ქართულენოვანი ვარიანტის შექმნა და დახვეწა; სხვადასხვა საფოსტო პროგრამების კონფიგურირება სერვერთან დაკავშირების მიზნით; არასაჭირო გზავნილებისაგან (სპამი) დაცვა; ფოსტის სერვერის ფუნქციონირების სტატისტიკური დამუშავება და თვალსაჩინო ინტერპრეტაცია.
- გ) უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდის მუდმივი ოპერატიული განახლება, უნივერსიტეტის სტრუქტურული ქვედანაყოფებისათვის ხელშეწყობა ლოკალური და თემატური ვებ-გვერდების საიტების შექმნაში; ინგლისურენოვანი ვარიანტის თარგმნა,

განთავსება და განახლება; ვებ-გვერდების ფუნქციონირების სტატისტიკური დამუშავება და თვალსაჩინო ინტერპრეტაცია.

- დ) უნივერსიტეტის მონაცემთა კომპიუტერული ბაზების მომხმარებელთა სარგებლობის უზრუნველყოფა დადგენილი წესით. ბაზის სერვერების დარეზერვება და უსაფრთხოების უზრუნველყოფა
- ე) უნივერსიტეტის ინტერნეტ დომენის შექმნა და ქვედომენების ჩამოყალიბება. დომენური სახელების სერვერის გამართული ფუნქციონირება;
- ვ) უნივერსიტეტის კომპიუტერული ტექნიკისათვის სტანდარტული პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია, პროგრამული დარღვევების აღმოფხვრა, ვირუსებისაგან გაწმენდა. კომპიუტერული ტექნიკის მოდერნიზაცია და რემონტი;
- ზ) უნივერსიტეტის მიერ კომპიუტერული ტექნიკის შეძენაზე გამოცხადებული ტენდერებისთვის ტექნიკური სპეციფიკაციის მასალების მომზადება;
- თ) კომპიუტერული რესურს ცენტრების მოწყობა და მისი გამართული ფუნქციონირება;
- ი) კოდექს სერვერების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და მათი სისტემატიური განახლება კონტრაქტორი კომპანიისგან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე;
- კ) სხვადასხვა საფინანსო პროგრამების ბანკებთან კავშირის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- ლ) პრეზენტაციებისათვის შესაბამისი აპარატურისა და ელექტრონული მასალის მომზადებაში ადმინისტრაციის ხელმძღვანელობისათვის დახმარების გაწევა;
- მ) ვიდეოკონფერენციებისათვის ქსელური მხარდაჭერის კონფიგურირება და შესაბამისი აპარატურის მომზადება და გამართული ფუნქციონირება;
- ნ) კომპიუტერული და ქსელური ტექნიკის საგარანტიო უზრუნველყოფის ექსპერტიზა და განხორციელებაში მონაწილეობის მიღება;
- ო) დისტანციური სწავლების ჩამოყალიბება და ორგანიზება; შესაბამისი ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფა; სერტიფიცირების წესების ჩამოყალიბება და განხორციელება;
- პ) უნივერსიტეტის აკრედიტაციისათვის კომპიუტერული ტექნიკის ინვენტარიზაციის პროცესში მონაწილეობის მიღება;

ჟ) საუნვერსიტეტო ქსელში „გრიდ“-ის სისტემის დანერგვისათვის შესაბამისი სამუშაოების ჩატარება და მისი შემდგომი ფუნქციონირების მხარდაჭერა.

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

1. ცენტრი წარმოადგენს უნივერსიტეტის ორგანიზაციულ სტრუქტურულ ერთეულს, რომელსაც ხელმძღვანელობს ცენტრის უფროსი.
2. ცენტრის უფროსს თსუ-ის რექტორის რეკომენდაციით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. მისი არყოფნის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა) მის მოვალეობას ასრულებს ერთ-ერთი მთავარი სპეციალისტი ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

3. ცენტრის უფროსი

- ა) იმავდროულად ასრულებს უნივერსიტეტის კომპიუტერული ქსელისა და სერვერების ადმინისტრატორის ფუნქციას;
- ბ) გეგმავს ცენტრის მუშაობას, უზრუნველყოფს მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფას, შრომის აუცილებელი პირობების შექმნას;
- გ) ანაწილებს მოვალეობებს ცენტრის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ მითითებებს და დავალებებს;
- დ) იხილავს ცენტრის მიერ შესრულებულ სამუშაოთა მასალებს და გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას;
- ე) პასუხისმგებელია ცენტრის თანამშრომლების მიერ შრომითი დისციპლინის დაცვაზე;
- ვ) ადგენს თანამშრომლების მიერ კუთვნილი შვებულებების გამოყენების რიგითობას;
- ზ) პასუხისმგებელია კომპიუტერული ქსელის გამართული ფუნქციონირებასა და უსაფრთხოებაზე;
- თ) ახდენს ქსელში დაშვების დონეების პოლიტიკის ჩამოყალიბებას და მისი რეალიზაციას; უზრუნველყოფს სერვერების (ელ-ფოსტა, ვები, სტატისტიკა, კრიტიკული ინფორმაციის რეზერვირება და DNS) გამართული ფუნქციონირებას;
- ი) ახდენს უნივერსიტეტის კომპიუტერული ქსელის განვითარებისათვის საჭირო კვლევისა და ანალიზის წარმოებას და რეალიზაციას;

კ) ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ–სამართლებლივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებსა და დავალებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

4. ცენტრის თანამშრომლები არიან:

ა) სერვერების ადმინისტრატორი – მთავარი სპეციალისტი (1)

ბ) დისტანციური სწავლების მენეჯერი – მთავარი სპეციალისტი (1)

გ) ქსელის ინჟინერი – უფროსი სპეციალიტი (4)

მუხლი 4 . ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამასთან რეორგანიზაციისთვის უნდა არსებობდეს დასაბუთებული არგუმენტაცია და იგი ხელს უნდა უწყობდეს ცენტრის მუშაობის ეფექტურობის ამაღლებას, ხოლო ცენტრის სრული ლიკვიდაცია დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცენტრის ფუნქციები დაეკისრება უნივერსიტეტის რომელიმე სხვა სტრუქტურას.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნილი რეალობების ადექვატურად.